კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი

დამტკიცებულია რექტორის 2021 წლის 10 თებერვლის #0221-11 ბრძანებით

2021

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულია შპს ,,კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი, კლინიკური საქმიანობის შეფასების მექანიზმები და პროცედურები (მათ შორის მოთხოვნები და პროდუქტიულობის შეფასების ინდიკატორები).

1.2. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული მექანიზმებისა და შეფასებების განხორციელებას, ამავე დოკუმენტით გათვალისწინებული წესებით კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

1.3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ შეფასებებს ახორციელებს გამჭვირვალეობის, ობიექტურობის პრინციპების დაცვითა და მისი მუშაობის სპეციფიკის (PDCA - P (plan) - დაგეგმვა; D (do) განხორციელება; C (check) - შემოწმება; A (act) - რეაგირება) მიხედვით.

1.4. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურთან საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების და ადამიანური რესურსების სამსახურის აქტიური კონსულტაციებისა და კოორდინაციის პირობებში. დოკუმენტი შემუშავებულია არსებული სიტუაციური ანალიზის გათვალისწინებით ინსტიტუციის განვითარების საწყის ეტაპზე და ორიენტირებულია სამომავლო პროგრესზე.

2. შეფასების განხორციელების პროცედურები და კრიტერიუმები

2.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასებას სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურთან და საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების და ადამიანური რესურსების სამსახურთან კოორდინაციით.

2.2. შეფასებების განხორციელების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

2.2.1. შეიმუშავებს თვითშეფასების კითხვარს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ;

2.2.2. შეიმუშავებს გამოკითხვის ფორმებს და ატარებს სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვას აკადემიურ და კვლევით საქმიანობაში მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით.

2.2.3. ამოწმებს პერსონალის ჩართულობას აკადემიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

2.2.4. ამოწმებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების ინტერნაციონალიზაციის ხარისხს;

2.2.5. შეისწავლის ახალგაზრდა კადრების ჩართულობას აკადემიურ საქმიანობასა და კვლევით პროექტებში (მათ შორის, სტუდენტების ჩართულობას კვლევით პროექტებში);

2.2.6. შეისწავლის კვლევითი საქმიანობის დაფინანსების სტატისტიკას.

2.3. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების ქულობრივ შეფასებას დანართი 1 და დანართი 2-ის მიხედვით ახორციელებს ფაკულტეტი/სასწავლო დეპარტამენტი. სტატისტიკური მონაცემები შემდგომი რეაგირებისთვის წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

2.4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს:

2.4.1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, რომელიც ხორციელდება ფაკულტეტის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების მეშვეობით, თვითშეფასების გზით, მტკიცებულებების წარმოდგენით (დანართი #2 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ინდიკატორები), შეფასების შედეგები შემდგომი რეაგირებისთვის წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფისა სამსახურს;

2.4.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას პროცესში ჩართული მხარეების მიერ (შესაბამისი კითხვარების გამოყენებით: დანართი #3 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, დანართი #4 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ).

2.4.3. კლინიკური საქმიანობის შეფასებას, რომელიც ხორციელდება ფაკულტეტის მიერ კლინიკურ მიმართულებებზე დასაქმებული პერსონალის მიმართ და გულისხმობს პერსონალის კლინიკური დატვირთვის შეფასებას სამკურნალო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებებში, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით, შეფასების შედეგები შემდგომი რეაგირებისთვის წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფისა სამსახურს;

2.4.4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საზოგადოებრივი აქტივობის შეფასებას, რომელიც მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ საზოგადოების განვითარებაში პროფესიული და სოციალური აქტივობების შეფასებას.

3. შეფასების შედეგებზე რეაგირება

3.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს ჩატარებული შეფასების შედეგებს, ადგენს შესაბამისობას უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან, ამზადებს ანგარიშს და წარუდგენს ფაკულტეტისა და აკადემიურ საბჭოებს.

3.2. ფაკულტეტის საბჭოზე განხილვის შემდეგ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - აკადემიური საბჭო განიხილავს და ამტკიცებს რანჟირების შედეგად გამოვლენილი ყველაზე მაღალი მონაცემების მქონე კანდიდატურის (1-3 კანდიდატურა) წახალისების ფორმას.

3.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან კოორდინირებით, ადგენს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების გეგმას. შეიმუშავებს და წარუდგენს რეკომენდაციებს აკადემიურ საბჭოსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს/სუბიექტს.

დანართი #1

პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობისთვის დადგენილი მოთხოვნები:

1. აფილირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობითა და პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობებით ყოველწლიურად სავალდებულო მინიმუმ 50 ქულის დაგროვება.
2. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობითა და პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობებით ყოველწლიურად სავალდებულო მინიმუმ 40 ქულის დაგროვება.
3. აფილირებული ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - ყოველწლიურად მინიმუმ 40 ქულის დაგროვება.
4. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - ყოველწლიურად მინიმუმ 30 ქულის დაგროვება.
5. აფილირებული ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - ყოველწლიურად მინიმუმ 30 ქულის დაგროვება.
6. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - ყოველწლიურად მინიმუმ 25 ქულის დაგროვება.
7. აფილირებული ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - მინიმუმ 20 ქულის დაგროვება.
8. ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - მინიმუმ 15 ქულის დაგროვება.
9. პროფესიული ნიშნით არჩეული აკადემიური პერსონალის შემთხვევაში სავალდებულოა აკადემიური პოზიციის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნების 40%-ით დაკმაყოფილება. დასაშვებია ამ წესით განსაზღვრული აქტივობის 5%-ით ცვალებადობა.

დანართი #2

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ინდიკატორები

#	აკადემიური პერსონალის საქმიანობა		საქმიანობისთვის განკუთვნილი ქულა	პერსონალის მიერ დაგროვებული ქულა
1	ნაშრომის დაბეჭდვა	მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში	40 ქულა	
		სხვა რეფერირებად ჟურნალებში	15 ქულა	
2	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა	პოსტერული მოხსენება	15 ქულა	
		ზეპირი მოხსენებით გამოსვლა	20 ქულა	
3	ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა	პოსტერული მოხსენება	5 ქულა	
		ზეპირი მოხსენებით გამოსვლა	10 ქულა	
4	ადგილობრივ სამუშაო შეხვედრებში, ტრენინგებში სემინარებში და ა.შ, მონაწილეობა	დასწრება	5 ქულა	
		ორგანიზება/ ჩატარება	10 ქულა	
5	საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებში, ტრენინგებში სემინარებში და ა.შ, მონაწილეობა	დასწრება	10 ქულა	
		ორგანიზება/ ჩატარება	25 ქულა	

6	დაფინანსებულ საგრანტო პროექტებში მონაწილეობა	ხელმძღვანელობა	30 ქულა	
		მონაწილეობა	20 ქულა	
7	შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსში მონაწილეობა	ხელმძღვანელობა	15 ქულა	
		მონაწილეობა	10 ქულა	
8	მონოგრაფიის / სახელმძღვანელოს გამოშვება		30 ქულა	
9	მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალის გამოცემაში მონაწილეობა	რედაქტორობა	20 ქულა	
10		რეცენზენტობა, სარედაქციო საბჭოს წევრობა	10 ქულა	
11	სხვა სამეცნიერო ჟურნალის გამოცემაში მონაწილეობა	რედაქტორობა	10 ქულა	
		რეცენზენტობა, სარედაქციო საბჭოს წევრობა	5 ქულა	
12	სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის რეცენზირება		10 ქულა	
13	სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა (არაუმეტეს 3 სტუდენტისა)		10 ქულა	
14	და სხვა	ქულობრივი წონა განისაზღვრება ხარისხის სამსახურის მიერ შექმნილი კომისიური წესით, რომლის შემადგენლობაში შედის: საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო დეპარტამენტის		

		წარმომადგენელი, აკადემიური პერსონალი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. საჭიროების შემთხვევაში - დარგის ექსპერტი	

დანართი #3

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ

სასწავლო კურსის განმახორციელებლის სახელი და გვარი: _____ _____

□ მოწვეული პერსონალი □ აკადემიური პერსონალი

	გთხოვთ, აღნიშნოთ სავარაუდო პასუხის მხოლოდ ერთი ვარიანტი				
	1 - ძალიან ცუდი, 2 - ცუდი, 3 - ნეიტრალური, 4 - კარგი, 5 - ძალიან კარგი				
	1	2	3	4	5
სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუსის შექმნა/განახლებასთან დაკავშირებით თანამშრომლობა					
სასწავლო კურსის განხორციელება სილაბუსის შესაბამისად (სწავლა-სწავლებისა და შეფასების შესაბამისი მეთოდების გამოყენება კურსის მიზნების განხორციელებისათვის შინაარსთან თავსებადობის გათვალისწინებით)					
ინტეგრირებული სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან თანამშრომლობა პროგრამის განვითარების ერთიანი ხედვის ფარგლებში					
პროგრამის განვითარებაში შეტანილი წვლილი პროფესიონალიზმის თვალსაზრისით: შეხვედრებზე დასწრება, წერილებზე რეაგირება და სხვა.					

დანართი #4

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ

სასწავლო კურსის დასახელება: ----------

სასწავლო კურსის განმახორციელებელი ----------

#	გთხოვთ, აღნიშნოთ სავარაუდო პასუხის მხოლოდ ერთი ვარიანტი	დიახ	არა
	გაგაცნოთ თუ არა კურსის განმახორციელებელმა სასწავლო კურსის დასაწყისში აუცილებელი მოთხოვნები და სასწავლო კურსის სილაბუსი?		
	გაგაცნოთ თუ არა კურსის განმახორციელებელმა სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები?		
	არის თუ არა ლექციები სასწავლო კურსის შინაარსის ადეკვატური?		
	გააღვივა თუ არა ინტერესი კურსის განმახორციელებელმა შესასწავლი კურსის მიმართ?		
	იხარჯება თუ არა გამოყოფილი დრო რაციონალურად?		
	გაგაცნოთ თუ არა კურსის განმახორციელებელმა არსებული უახლესი ინფორმაცია, ერკვევა თუ არა აქტუალურ პრობლემებში?		
	იყენებს თუ არა კურსის განმახორციელებელი სწავლების მრავალფეროვან, თანამედროვე მეთოდებს?		
	წაახალისა თუ არა განმახორციელებელმა თქვენში აზროვნებისა და ანალიტიკური მსჯელობის უნარი?		
	გამოყენებული იყო თუ არა ეფექტურად აუდიო-ვიზუალური საშუალებები (ვიდეო პროექტორი, კომპიუტერი და ა.შ.)?		
	იყო თუ არა ხელმისაწვდომი რეკომენდირებული ლიტერატურა?		
	რამდენად ობიექტურად აფასებს კურსის განმახორციელებელი სტუდენტის ცოდნას სემესტრის განმავლობაში?		

	არის თუ არა კეთილგანწყობილი კურსის განმახორციელებელი სტუდენტისადმი?					
	ამყარებს თუ არა კურსის განმახორციელებელი კონტაქტს აუდიტორიასთან ეფექტურად?					
	როგორც წესი, კურსის განმახორციელებელი არ აგვიანებს ლექციებზე					
	არის თუ არა შესაძლებელი კურსის განმახორციელებლისაგან საინტერესო საკითხზე კონსულტაციის მიღება?					
	ისურვებდით თუ არა სხვა სალექციო კურსის მოსმენას, რომელსაც გაუძღვებოდა იგივე განმახორციელებელი?					
		ძალიან რთული	რთული	საშუალო სირთულის	იოლი	მიჭირს პასუხის გაცემა
	გთხოვთ, აღნიშნოთ სასწავლო კურსის სირთულის დონე					